ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, დიდ ლილოში ნაკ. ს/კ 81.08.16.452-ზე დაპროექტებული საწყობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ექსპერტი:  დ. ჯაფარიძე

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 3

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, დიდ ლილოში ნაკ. ს/კ 81.08.16.452 - საწყობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების V თავის 21-ე მუხლი.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, დიდი ლილო ნაკ. ს/კ 81.08.16.452

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება: საწყობი

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორი: ლევან წოწკოლაური / გიორგი ხოჯაშვილი

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1)დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
6) მისაწვდომობის შეფასებას;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

ასევე საექსპერტო დასკვნა მოიცავს:

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია საწყობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
2. შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
3. სიტუაციურ სქემას
4. არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალას
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმას–1:500 მ
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა)
7. შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
8. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს)
11. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა:მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2019 წლის №255 დადგენილების 21 მუხლის მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

პროექტში გათვალისწინებულიდაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

საქმიანი ჯგუფი სქ

- 0,00 და +4,80 ნიშნულზე განთავსებული ოფისები და შოურუმი.
- აღნიშნული შეესაბამება 304.1 ქვეთავს.

სასაწყობო ჯგუფი სწ-2

- 0.00 ნიშნულზე განთავსებული არაწვადი მასალების საწყობი
- აღნიშნული შეესაბამება 311.3 ქვეთავს.

შენობაში არსებული თითოეული დაკავებულობისთვის სწორედ არის განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვა ანუ 1004.1.2 ცხრილის მიხედვითარის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ყოველი სივრცის იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, კერძოდ:

- 0,00 ნიშნულზე საწყობს **(სწ-2)** მინიჭებული აქვს საწყობების სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია 46,5-ზე.

- 0,00 და +4,80 ნიშნულებზე განთავსებულ ოფისებს და შოურუმს (**სქ**) მიკუთვნებული აქვს საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობების სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია 9.3-ზე.

შენიშვნა №1:დაკავებულობის დატვირთვა გამოანგარიშებულია მთელი რიცხვის სიზუსტით.

შენიშვნა №2:მთლიანი და სუფთა ფართობები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა (იატაკის მთლიანი და სუფთა ფართობის განმარტება იხ. „წესების“ 202 ქვეთავში).

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციისტიპად განსაზღვრულია **II-B** ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის,სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

კონსტრუქციული ტიპის შერჩევაგანხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისობაშია კონსტრუქციის ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს.

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 9,73 მეტრი. მიწის დონის ზემოთ და შესაბამისად შენობა არ არის მაღლივი.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობას დაკავებულობებიდან, სართულიანობიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(1)), უნდა ქონდეს 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია.

- 0,00 ნიშნულზე განთავსებულ სართულს აქვს 5 შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარის სახით. აქედან 2 ემსახურება სქ დაკავებულობას, ხოლო 3 გასასვლელი სწ-2 დაკავებულობას. ყველა გასასვლელი გზა-კარი პირდაპირ მიწის დონეს უკავშირდება. როგორც მთავარი გასასვლელიდან, ასევე გზა-კიბიდან დაუბრკოლებლად ვხვდებით შენობის გარეთ, ეზოში, რომელიც

უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს. „წესების“ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, აგრეთვე თითოეული სივრციდან გასასვლელი კარების რაოდენობა და ერთმანეთთან დაშორება.

- +4,80 ნიშნულზე განთავსებულ სართულზე გათვალისიწინებულია 2 გასასვლელი შიგა გასასვლელი გზა-კიბის სახით, საიდანაც მოხვედრა ხდება +0,00 ნიშნულზე (შენობიდან გამოსასვლელის დონეზე). „წესების“ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, აგრეთვე თითოეული სივრციდან გასასვლელი კარების რაოდენობა და ერთმანეთთან დაშორება.

- ვინაიდან შენობა არ არის მაღლივი, გზა-კიბეები არ არის აუცილებელი, რომ იყოს დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცეები.საკმარისია გზა-კიბეები 1009.3.1.2 ქვეთავის თანახმად შემოზღუდული იყოს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით და ნიავდებოდეს ბუნებრივად ან მექანიკურად, რაც პროექტით გათვალისწინებულია (განიავება ხდება ბუნებრივად). გზა-კიბეების შემომზღუდავებში მდებარე ღიობები დაცულია 1,5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

შენიშვნა:გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარები 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

- შენობიდან საზოგადოებრივ სივრცეში (და პირიქით) მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად, საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისიწნებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთანმისადგომების, გასავლელებისადაშენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5.გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- შიგა გასასვლელი გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე (კედელს და მოაჯირს შორის) არის 1.20მ-ზე მეტი, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.გამტარუნარიანობასთან მიმართებაში „წესებთან“ შესაბამისობაშია.

- ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008 ქვეთავისმოთხოვნებს.

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6.მისაწვდომობის შეფასება:

- შენობიდან გამოსასვლელის დონეზე (+0.00 ნიშნულზე) მთავარი შესასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ: კარებები გამოდის პირდაპირ მიწის დონეზე.

- შენობის ყველა დაკავებული დონე არის მისაწვდომი; ვინაიდან გზა-კიბის თავისუფალი სიგანე არის 1.20მ და მას გააჩნია თავშესაფრის ფართობი, 1007.3 ქვეთავის შესაბამისად ის დასაშვებია ჩაითვალოს მისაწვდომ საშუალებად.

- ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების კომპონენტია არის მისაწვდომი;

- როგორც 0.00, ასევე +4,80 ნიშნულზე მოწყობილია საერთო სარგებლობის ტუალეტიშმ პირთათვის და აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სწორედ არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

<u>შენობის ყველა ნაწილში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა დააკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7.გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- 602 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპიდან და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე, გარე კედლებს ცეცხლმედეგობა არ მოეთხოვება

- მომიჯნავე სართულების ღიობები ერთმანეთისგან შვეულ გამიჯვნას არ საჭიროებს და აკმაყოფილებს 705.8.5 ქვეთავის №1 გამონაკლისის მოთხოვნას.

- 705.8.1 გამონაკლისი 2-ის თანახმად, შენობას დასაშვებია ქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის დაუცველი ღიობები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებისშესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8.სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის ქანობიანი გადახურვა, რომელსაც გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

- სახურავის, როგორც კონსტრუქციას ასევე მის არაძირითად ნაწილებს შენობის კონსტრუქციის ტიპის (II-B) გათვალისწინებით ცეცხლმედეგობის ხარისხი 601 ცხრილის მიხედვით არ მოეთხოვება.

სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის C კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას).

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

9.ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობის დაკავებულობები **(სქ და სწ-2)** 508.4 ცხრილით განსაზღვრული ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შესაბამისად, გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლებით.

- კიბის უჯრედები დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეებით, რაც აკმაყოფილებს 1022.1 ქვეთავის მოთხოვნებს. აღნიშნულ კედლებში მოწყობილია 90 წთ-იანი ცეცხლმედეგობის თვითკეტებადი კარებები, რაც აკმაყოფილებს 1009.3.1.2 ქვეთავის, 1009.3.1.4 ქვეთავის და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობაში არსებული შახტების (საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი. ზემოაღნიშნული აკმაყოფილებს 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს.

შენიშვნა №1: სატრანსფორმატოროსთან დაკავშირებული მოთხოვნები დაზუსტდეს შესაბამის სამსახურთან.

შენიშვნა№2:საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით).

ცეცხლმედეგობისხარისხიანიმოთხოვნილიგამმიჯნავებიგანსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10.ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:
  907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;

  შენიშვნა:სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს907 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით(102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- ყველა სართულზე, 906 ქვეთავისშესაბამისად, გათვალისწიონებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება;

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით.

ხანძრისგან დაცვის სისტემებისწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა საპროექტო შენობაში, დაკავებულობების და დაკავებულობის დატვირთვების გათვალისწინებით, შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს;

- როგორც მისწვდომობის შეფასებისას აღვნიშნეთ, 0.00 ნიშნულზე მოწყობილია საერთო სარგებლობის თითო ტუალეტი შშმ პირთათვის;

- ყველა სართულზე მოწყობილია სამომხმარებლო ნიჟარა;

- ყველა სართულზე გათვალისწინებულია სასმელი წყლის თითო აპარატი, რაც თავისთავად ასრულებს ცხრილის მიხედვით განსაზღვრული წყლის დასალევი შადრევნის ფუნქციას.

<u>წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

დ ა ს კ ვ ნ ა:

ზემოაღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ საწყობის პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან.საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება!

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან) და სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
3. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;
- ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება;
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
- სახანძრო განგაშის სისტემები;
- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები).

ექსპერტი:----------

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, დიდ ლილოში ნაკ. ს/კ 81.08.16.452-ზე დაპროექტებული საწყობის არქიტექტურული პროექტის ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ექსპერტი:  დ.ჯაფარიძე

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 3

საფუძველი: „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, დიდო ლილო ნაკ. ს/კ 81.08.16.452

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: საწყობი

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორი: ლევანი წოწკოლაური / გიორგი ხოჯაშვილი

საექსპერტო დასკვნა მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

მისაწვდომობის სვლაგეზი	• სავალი ზედაპირები • კარი
წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები	• ტუალეტის ოთახი • უნიტაზი • ხელსაბანები
საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები	• ნიშნები

- **განმარტება**

„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საფუძველზე შეფასდა საპროექტო ობიექტი, რომელიც წარმოადგენს ორ სართულიან სასაწყობო შენობას.

- **მისაწვდომი სვლაგეზი**

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირსებს და კარებს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. <u>მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:</u>
   - საზოგადოებრივი სივრცისან საპროექტო შენობაში მიწის ნაკვეთის გავლით და ასევე საპროექტო ფართში მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, რაც აკმაყოფილებს 403.3 ქვეთავის მოთხოვნებს

- იატაკის ზედაპირზე დონე არ იცვლება და შესაბამისად აკმაყოფილებს 303-ე ქვეთავის მოთხოვნებს

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში არის 900მმ, ხოლო შენობის გარეთ 1200 მმ, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

- საპროექტო ფართში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. <u>კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 404-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:</u>

   - მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

   - მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302 ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 4042.3 და 404.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნებს. ასევე კარებთან იატაკის დონეები არის უცვლელი.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ-ისა და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

- **წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები**

1. <u>საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტი შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:</u>

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილი საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვას.

- ტუალეტის ოთახის კარი არ იჭრება მოწყობილობებისათვის განკუთვნილი იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. <u>ტუალეტის ოთახში განთავსებული უნიტაზი შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:</u>

- უნიტაზი განთავსებული კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 430 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

- უნიტაზთან განთავსებული დისპენსერები მოწყობილია 604.7 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად.

3. <u>ტუალეტის ოთახში განთავსებული ხელსაბანი შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:</u>

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606.3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

- საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები

1. <u>საპროექტო ფართში ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:</u>

- საპროექტო ფართიდან გარეთ გამავალ ფართთან მოწყობილია ნიშანი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილით, წარწერით - „გასასვლელი / Exit”. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო და სქესის აღმნიშვნელი პიქტოგრამები მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 , 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- <u>ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავების მოთხოვნებს, კერძოდ:</u>

  - ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

  - ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

  - ლათინური სიმბოლოებისათვის გამოყენებულია „SANS SERIF”-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

  - შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

  - სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

  - ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

  - სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ) 703.3.12 ქვეთავის თანახმად.

- <u>ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:</u>

  - ნიშნებზე გამოყენებულია მეორე ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

  - ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

○ <u>ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული პიქტოგრამები შეესაბამება 703.5 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:</u>

- პიქტოგრამის ველის ზომა და სხვა მოთხოვნები შეესაბამება 703.5.2 ქვეთავს.

- პიქტოგრამები კონტრასტულია თავისი ველებისგან, ანუ მუქი ფერის პიქტოგრამა განთავსებულია ღია ფერის ველზე, რაც შეესაბამება 703.5.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

○ <u>ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:</u>

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო განთავსებულია ღია ფერის ფონზე 703.6.2 ქვეთავის თანახმად.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ზემოაღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, დიდ ლილოში ნაკ. ს/კ 81.08.16.452-ზე დაპროექტებული საწყობის პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებთან. საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი:----------

პერსონალური ინფორმაცია

სახელი: დავით
გვარი: ჯაფარიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #52ბ
ტელ.: +995 322 932210
მობ.: +995 599 735334
ელ.ფოსტა: davit.jafaridze@gmail.com

დაბადების თარიღი: 04.08.1990

განათლება

2007–2011 თ.ს.ს.ა. არქიტექტურის ფაკ. ბაკალავრიატი

2011–2015 თ.ს.ს.ა. არქიტექტურის ფაკ. მაგისტრატურა

2015–დღემდე თ.ს.ს.ა. მედიახელოვნების ფაკ. ციფრული და გეომეტრიული მოდელირება. დოქტორანტურა

გამოცდილება

2009–2011	შ.პ.ს. „სქაიგრაფიკი“	არქიტექტორი
2013–2016	კოლეჯი „ბარაკონი“	ლექტორი
2014 -2021	შ.პ.ს. „გროს ენერჯი ჯგუფი“	არქიტექტორი
2021-დღემდე	შ.პ.ს. „კოლექტივ დეველოპმენტი“	არქიტექტორი

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

მაგისტრის დიპლომი

TSAA № 000148

ფაკულტეტის 2015 წლის 23 სექტემბრის № 9
გადაწყვეტილებით დავით ჯაფარიძეს მიენიჭა
არქიტექტურის
მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

დეკანი
Dean ნოდარ ამაშუკელი / Nodar Amashukeli /

რექტორი
Rector გიორგი გუგუშვილი / George Gugushvili /

თბილისი
TBILISI

15 / რიცხვი/ day 12 / თვე/ month 2015 / წელი/ year

GEORGIA

Legal Entity of Public Law
APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE
ACADEMY OF ART

MASTER'S DIPLOMA

TSAA № 000148

By Decision № 9 of 23 September 2015 of the Faculty of
Architecture
Davit Japharidze
was awarded the Degree of Master of
Architecture.

ბ.ა.
Seal

სარეგისტრაციო № 000858
REGISTRATION


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
დავით
DAVIT
გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მ / M
01024067864
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
04.08.1990
14.06.2031
ბარათის No / CARD No
20IA43742
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
14.06.2021
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGEO20IA43742001024067864<<<<
9008043M3106143GEO<<<<<<<<<<<0
JAPARIDZE<<DAVIT<<<<<<<<<<<<<<